



„დემეტო,  
სამშობლო მდნოცხლე,  
მძინარეც  
ამას ვღუღუნებ!“

# 24 სექტემბერს სოფელ ჩაჩბაღში განიხილეთ გენიალური, მხატვრული ჰოეტი შაქა-შუქვილას ფაგაღაიღან 150 წლისთავის ჯიშა

# კავკასია

პროგრესი, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გახიტი

№7-8 (53-54) ივლისი-აგვისტო 2011 წელი

ფასი 1 ლარი



ფშავე, სოფელი ჩარგალი, ფაგა-ფშაველას სასლ-მუზეუმი



## სოფელი ნახატი:

**ჰაი, ჰაი, რომ  
უკვე ვცვლით  
ხეცსურეთს ბარის  
„სამოთხაზე“**  
გვ. 6

## ხეთისპირი არჩევანი

## ვაჟას

დალოცვილ იყოს მარადჟამს  
დედის ის ძუძუ სვიანი,  
დალოცვილ იყოს საჯინვე,  
სალი კლდე ჭიუნიანი.  
დალოცვილ იყოს ბორბალი,  
ტანს ნისლეზიბიბიანი,  
დალოცვილ იყოს ჩარგალი,  
მიდამო ყვავილიანი.  
დალოცვილ იყოს ფშავეთი  
ქართველთა მხარე მზიანი,  
დალოცვილ იყოს ქართველნიც  
საქვეყნოდ სახელიანი,  
ვინც შენ დაგბადა, მგოსანო,  
მეზივით ქუნილიანი;  
შენ დაგებედა სიცოცხლე  
შაგი და წუხილიანი.  
ბეგრჯერ გქონია საცრემლო,  
არ იყავ თვალცრემლიანი,  
იმიტომ, რომ იმედი გქონდა,  
გული გიდუღდა ღვთიანი,  
იცოდი, აყვავდებოდა  
დიფი, შუბრა და ღვიანი,  
იცოდი, გაბრწყინდებოდა,  
არ იქნებოდა გვიანი.  
იცოდი, ამღერდებოდა  
არაგვი არაგვიანი,  
და აჰა, მართლაც, იღისინე,

აგინდა აზრი ჭკვიანი:  
აყვავდა შენი ქვეყანა  
და შენი მხარე მთიანი...  
საფლაგს გამკობენ მთისშვილნი:  
გარდი, დეკა და იანი.  
გელაციცება პირიმზე,  
მთის წყარო მწყაზარიანი.  
ჩონის კალთაზე გემთხვევა  
ჯოყოლა მათარიანი.  
ზვიადაურიც მოსულა,  
აღაზა პირმოვარიანი.  
ცრემლს აფრქვევს სიხარულისას  
ქუნი, ბაღასი ცვრიანი.  
გადმოეგლება ცის კიდეს  
არწივი, ლეგაფრთიანი,  
სუყველა შენა გლოცულობს  
„სიტყვა მაუდით გზიანი“.  
ყურს ვუგდებ ალტაცებული  
ბაღდაი შენის მხრიანი,  
ამითროლდება მეც გული  
ენა მიხდება წყლიანი,  
გეტყვა: სიცოცხლე გქონიყოს  
ათასჯერ ათასწლიანი,  
გეცოცხლოს, სანამ მიწაა,  
ცა — ლურჯი, ლაჟვარდიანი,  
შთამომავლობას, სულმნათო,  
გვიძოდდე ლამპარიანი.

**ქოხარ ღუღაევი:  
— ველდებულნი  
პართ, უეპარიბოთ  
ორად გაყოფილი  
ქართველთა**  
გვ. 4-5

**გიმ ვაჩხაჩაევილი და  
ჯანგაილ ხანკოევილი  
თბილისის თეში**  
გვ. 4

**ლეოსო,  
ამოგთქოგ,  
ოხერო!..**

გვ. 7

ეს პრობლემა გადაუდებელ ურადლებას მოითხოვს...

ილია ჭავჭავაძე

სიტყვა წარმოთქმული სიხშირით



1903 წლის მაისში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებამ გავრამი მთავლიან დაუბრუნებელი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რათა მადლობა ეთქვათ პრინციპულად ოლდენბურგელისათვის ვაგრის კურორტის დაარსების, იქ რეალური სასწავლებლის გახსნისა და საერთოდ ამ კუთხის გამოცდების გამო.

გავრიდან დაუბრუნებელი სიხშირით შეიძლება ილია ჭავჭავაძის ძეგლზე შეიქმნას სასახლის ვრცელ ეზოში ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვების ქვეშ სიხშირეებმა ასზე მეტ კაცთან სადილი გაუმართეს.

ილიას გვერდით მოუსვენს ვრცელ შერვაშიძის მხცოვანი მუღღე ალათი დადიანი. სადილზე ილიამ წარმოთქვა სიტყვა, რომელსაც აქ ვთავაზობთ (სიტყვა ჩაიწერა მწერალმა თეიმურაზიძემ):

„ბატონებო, დიდის ზატყვისწყმით მოვსალმებოთ! ბედნიერი განსაზრებით, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს, კალმით დახატულს კუთხეს და მის მოსახლეს მშვენიერსავე ხალხს...

თქვენ რომ გიუფრებთ, გულს იმედი და სასიკეთა ჩამესახს. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ისე ადვილად არ დაუფინავრინებთ. რომაელთა ერთი თქმა მკაცრად: სინათლე აღმოსავლეთით გვეფლავებოდა. თქვენ რომ გიცქმერთ, ეს თქმა ასე უნდა შეგვცვალოს: სინათლე დასავლეთიდან მოდის, საქართველოსთვის მანც-მეთქი! თქვენც მისხედრდით ბრძანდებით, რომ დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ური ზის, ვინც ირავება, ვინც ცდილობს ქიხება მუი-ძინოს, ეკონომიურად წელში გაბარდეს, ვინც ამას არ ფიქრობს, ვინც სხვას მუჭურებს, აცა, რამე ვაწვარდეს სელიდან და მე ავიღო, ის ხალხი ტყუილად ხუელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილად იმედი ხუ აქვს, ცხოვრების ჭიდილში ფონს გაავადეს. ასეთი ური, ვიმეორებ, დარწმუნებული უნდა იქნას, რომ მას საკაცობრივი ცხოვრების სუფრასე ადვილი არ ექნება, გემრიელი ლუქმა ცხვორწყით აცდება. ნასუფრალი თუ სედა, ღმერთს მადლი შესწიროს! ვეფლასაგან გათვალისწინებ, ვეფლასაგან განბრეყებოთ, ვეფლასაგან ჩამორჩებილი, ვეფლასაგან უბადლებული ისა, ვისაც თავისი მარჯვების იმედი არა აქვს, ვინც თავისი მადლობით არ ღამობს ღელოს გატანას ცხოვრების მოედანზე...

თქვენი მოძმენი, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ვართ შესაბრალები, რომ მეტად ტატიტ მივდივართ ეკონომიური მოღონიერებისაკენ. იქ ვეფლან ჩვენს გზაგზავებს, თავსე გვასწავლებს. აქ, თქვენ რომ გიუფრებთ, გული მინათლდება, სასიკეთით მეფესება: მთელი ქალაქი თქვენს ხელშია, აქაურობის ბატონ-პატრონი თქვენა ხართ, გეტყობათ, დღეს და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ, უკვე შექმნილს კიდევ მიუმატოთ, თქვენი ქონება ერთიორად აქციოთ, ფინსლობთ, უფრო მანვილად გიჭირავთ, საიდან, როგორ უკეთესად და სარფიანად მოავაგროთ თქვენი საქმე. ამისათვის თქვენთვის გამჩენს შხო მოუცია და ამ შხოთი შხოიანად სარგებლობთ კიდევაცა. მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონიერები იქნებით, უფრო ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. თუ ეკონომიურად წელში გაიძარბებით, ჩვენი სამშობლო, მამაპაპათაგან ნაანდერძევი, შეგვრება, ვერავინ წავაგროთ. რომ მოვასწავს, საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოვასწავს, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მავალითი უნდა უჩვენოს სიფინსლიანსა, ცხოვრებაში ბრძოლის უხარის გამჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმთაც ამავე გზით იარონ, იმთაც თქვენ მოგბამონ, ერთობლივის ძალით მამაპაპათაგან ნაანდერძევი ტურფად მიდარი ქვეყანა შევიბარჩუნოთ, სხვას მისი დანატრონების მად არ გავუღვიძოთ, მისეულ ათასგვარ მტერსა და დუმანს კრიტაში ჩაუღვდეთ, გაუშედავდეთ, ხმალოლოვებული დაუფხვდეთ, ჩვენსე არ გავაცინოთ...

მაშ, გავიძარჯოთ, ბატონებო, გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს: ჩვენი ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლად ჩვენი ქვეყნის სანუგეშოდ და წარსამაჩილად!

კვანა-ფშაჰვანა

\* \* \*

ცაზე იარე, მთვარეო, მზეო, აბრძანდი, დაბრძანდი, მთებო, იმიშვლეთ გულ-მკერდი, ხან მოიხვიეთ ნაბადი. დასწვამე, შავო ღრუბელო, დააღებ პირი მიწისა!

ვინ მოგცემს კაი კაცებსა ან კაი საქმე სიდამა? — მიწა არ აღმოაცენებს არ ჩამონდება ციდამა, თუ თვითონ არ გავკეთდებით, თავის გრძნობით და ჭკვიადამა, ნუღარ უმტყუნებს, გამაგრდეს, ვინაც კეთილი იწამა. თუ შვილი არ გვგარგებთ, რა ჭქნას სამშობლოს მიწამა.

მუნთალი წუთისოფელი მიდი, მიდის და მიდისა! 2

80-იანი წლების ბოლოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სვანეთის რაიონებში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 5700-მდე ოჯახისთვის, მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს სხვადასხვა რაიონში დაპროექტდა 52 ახალი სოფელი და დაიწყო საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ინფრასტრუქტურის ობიექტებით. ამ საქმისთვის მობილიზებული იქნა რესპუბლიკაში მოქმედი სამშენებლო ორგანიზაციები და მსხვილი საწარმოები.

გემის თანახმად, ასაშენებელი 5300 საცხოვრებელი სახლიდან, ფაქტობრივად აშენდა 3237 სახლი, ანუ 61 პროცენტი. მშენებლობის პროცესში დარჩა 1766 სახლი, 297 სახლის მშენებლობა კი საერთოდ არ დაწყებულა. სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზისა გამო შესაძლებელია განხორციელდა მხოლოდ 2338 სახლში, ანუ მშენებლობით დამთავრებულად ჩათვლილი სახლების 72 პროცენტში. დანარჩენი მზა სახლებიდან ნაწილი დროთა განმავლობაში გაიძარცვა, ნაწილი უნებართვოდ შესახლდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. რაც შეეხება ზემოხსენებულ დაუთმავრებელ სახლებს, მათი „განკუთვალა“ დღემდე გრძელდება — კარფანჯრის ბლოკები, იატაკისა და გადახურვის სის ელემენტები კარგა ხანია დაიბრუნეს, რკინაბეტონის დეტალებს კი დღესაც ხსნიან და ეზიდებიან. ასე განიავდა კეთილი საქმისთვის გაკუთვნილი მილიონობით ღირებულების საზღვარსაღი. არავისთვის საღმრთოებას არ წარმოადგენდა, რომ ეკოლოგიურ მიგრანტთა საზღვრისპირა რაიონებში (სიღნაღის, ლაგოდეხის, მარნეულის, ახალქალაქის) ჩასახლებული ქვეყნისთვის ფრად მნიშვნელოვანი ორი საკითხი წყდებოდა: გარდა იმისა, რომ საცხოვრებელი კმაყოფილებოდნენ უბინოდ დარჩენილი ოჯახები, სრულიად მშვიდობიანად, ყოველგვარი დაპირებების, ან გაუგებრობის გარეშე უძვობესდებოდა რეგიონების დემოგრაფიული მდგომარეობა.

დარჩენილი სახლების (ან მათი ნარჩენების) და საკარმიდამო ნაკვეთების გამოყენებას დღესაც შეიძლება ერისათვის რაიმე სასარგებლო სახე მიენახოს.

საქართველოს საზღვრისპირა სოფლებში ჩასახლებული ეკოლოგიურ მიგრანტთა სოციალური გაუმჯობესების საკითხი დაუყოვნებლივ უნდა დადგეს დღის წესრიგში. ამ სოფლების მცხოვრებლები უფროადელობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან და თავიანთ ძველ ნასახლარებში დაბრუნებაზეც კი ოცნებობენ. საერთოდ კი რა გამოდის: აჭარიდან ქართველები აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში, მათთვის სრულიად უცხო გარემოში განვასახლეთ, აჭარაში კი სხვადასხვა მაქიანციებითა და სახელმწიფო კანონში „ჩაღებული“, ერისათვის არამომგებიანი პუნქტების წყალობით, არაქართველეთა ოჯახების დაფუძნება მიმდინარეობს.

მოლივლივე შავი ზღვის კურორტებზე დასვენების უფლების შეუზღუდაობა, ამ კურორტებზე მცხოვრებ ქართველთა მიერ ჩვეული სტუმართმოყვარეობით გადამტყუნებულ და ზოგჯერ გაუმართლებელ დათმობებზე წასვლა, ჩვენი ეროვნული ინტერესების საზიანოდ არ უნდა შემოგვიტრიალდეს, ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, არავინ არ უნდა ისარგებლოს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურად შეჭირვებული მდგომარეობით და თავს არ უნდა მისცეს მათი სახლებისა და მიწის ნაკვეთების დაპატრონების უფლება.

ზღვის და ნაყოფიერი მიწების მოყვარული ძვირფასო არაქართველებო, გათვალისწინეთ, რომ ქვეყნიდან საშოვარზე გასული მილიონი თუ მილიონახევარი ქართველი (ძირითადად ახალგაზრდები) ხვალ თუ ხევ სამშობლოს უნდა დაუბრუნდნენ (საბედნიეროდ, მოწოდება ამის შესახებ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ უფრო და უფრო ხშირად გაისმის) და ჩვენ სახლები, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ტყე, ველი თუ მდინარე, ხედმეტად არასოდეს არ დაგვრჩება.

აღნიშნულთან რამდენადმე კავშირში ერთი მოსაზრებაც:

ნინოწმინდა — ახალქალაქის, აჭარის მთის რაიონებთან, გნებავთ ბათუმთანაც, თბილისის თანამედროვე საავტომობილო მაგისტრალით და გვირაბით დაკავშირება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებათა ურთიერთშეღარიბების შემთხვევაში პრიორიტეტს, ალბათ, საჩხერე-ამბროლაურსა და თელავსა და ასმეტაში გასასვლელი გზები და გვირაბები მოიპოვებენ, რამეთუ პირველი მოგვემდგა რაჭის რაიონების, მისი კურორტებ-

ისა და ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე მოსახლეობის ადგილზე დამაგრების საშუალებას, მეორე კი კახეთის ხსენებულ რაიონებს დაგვახსლოვდა. იგივე შეიძლება გვეთქვას სვანეთის ორი რაიონის დაკავშირებაზეც. ვფიქრობთ, ეს ვარიანტები უფრო უპასუხებენ ეროვნულ ინტერესებს.

თურქეთთან ჩვენი დღევანდელი ნორმალური ურთიერთობა მხოლოდ კმაყოფილებას იწვევს. აშკარაა ამ ქვეყნის ეკონომიკური მხარდაჭერაც, მაგრამ ყოველივე ეს თუ გულწრფელობის საზღვრებიდან გამოვიდა და ჩვენზე ეკონომიკური, სარწმუნოებრივი თუ სხვა სახის გავლენის გაფართოების სახე მიიღო, ეს უკვე აღარ ვარგა. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი ურთიერთობა სასწრაფო პროფილაქტიკას საჭიროებს, თუ ეს ასე არ არის, მაშინ საჭიროა სათანადო პასუხი გაეცეს ჩვენს ბეჭდვით მელაში ამ თემაზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, რათა ხალხთან მივიტანოთ ჭეშმარიტება.

სიტყვამ მოიტანა და, აქვე აღვნიშნავთ, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ძეგლების რესტავრაცია-რემონტი კარგია, მაგრამ ამის სანაცვლოდ აჭარაში ახალი მქეჩების მშენებლობა ამის ტოლფასად ვერ აღიქმება იმ უბრალო მიზეზით, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მყოფი ქართული ეკლესია-მონასტრები, რარიგადაც არ უნდა გაგამშენიეროთ, სამწუხაროდ, მათ მრევლს ვერ შევებნით და როგორი უმოქმედონიკ არიან, ასევე უმოქმედონი დარჩებიან. აჭარაში კი მქეჩების უმაღლესი ამოქმედების ფონი ჯერ კიდევ არსებობს და ამოქმედებიან კიდევ. საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის მოსახლეობის მიერ ბედის უკუღმართობით წარსულში უარყოფილი ქრისტიანული რწმენა გამოღვიძების ნაცვლად (რისი ნიშნებიც ბოლო დროს აშკარად შეიმჩნეოდა) კვლავ მიძინებას მიეცემა, სხვა რწმენა კი ფრთებს გაშლის. ხელს ვგაძლევს ჩვენს? — რა თქმა უნდა, არა. დღეს ქართველი ხალხი ჩვენი დიდი სამხრეთელი მეზობლის, თურქეთის მოსახლეობის რწმენას უდავოდ პატივს ვცემთ, მაგრამ, მისი გავლენის გაფართოება ქრისტიანული რწმენის ხარჯზე დაუშვებლად მიგაჩნია.

დიდად მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა ჩვენი ხსენებული მეზობელი ქვეყნების ხელმძღვანელ პირთა ბოლო დროს განხორციელებული საქმიანი და მეგობრული შეხვედრები, ასეთ ურთიერთობას თვალისმინებით მოვლა სჭირდება. იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაავადრეკოთ ისეთი არასასიამოვნო ფაქტებით, როგორცაა, მაგალითად, საზღვრისპირა სოფელ ერისიშვლაში აჭარულ ეკომიგრანტთა შევიწროება, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ შექმნილი პრობლემები, საინგილოს სოფლების მცხოვრებთა მდგომარეობა, საკითხები სახელმწიფო საზღვრის ნინოწმინდის რაიონის მონაკვეთის შესახებ, სასულიერო დანიშნულების და ტერიტორიების ისტორიული საკუთრების საკითხებზე აღძრული პრეტენზიები და მრავალი სხვა.

თუ მშობა, მშობა იყოს. მეზობელი და მეგობარი ქვეყნების ხელმძღვანელთა ბოლო დროის ურთიერთშეხვედრების, ჩვენი ხალხების კარგი ურთიერთობისა და კიდევ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ყოველგვარი პიზნუღის გარეშე, ქართველებთან თანაბარ პირობებში, ცხოვრობენ აზერბაიჯანელები და სომხები, თურქები კი, ასევე შეუზღუდავად ანორციელებენ თავიანთ ბიზნესსაქმიანობას, მტტი ყურადღება უნდა დაეთმოს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის კეთილგანწყობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არადაამაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ ქართულ ბეჭდვით მასმედიაში (ალბათ, სომხურსა და აზერბაიჯანულშიც) განაღებულ „ურთიერთხსენებლებში“ თანაცხოვრების სხვადასხვა საკითხზე. ნუთუ არ სჯობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მდებარე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დღევანდელი ურთიერთობა კიდევ მეტად გავალამაზოთ ერთმანეთის წარსულის, სარწმუნოების და საკუთრებათა პატივისცემით, ღმილით, გნებავთ დაცინვითაც კი შევხვედეთ ამ ურთიერთობათა შეღავათსა და დაკნინების მცდელობის ყოველ გამოვლინებას.

ეს ამ ქვეყნის ხალხების ღირსებას წაადგება და მნიშვნელოვანი ფაქტური იქნება მათი ურთიერთობათა მოწესრიგებისა და განმტკიცების საქმეში, რაც განსაკუთრებით საჭიროა დღეს.

რეზაზ ტყეშელაშვილი, ტენიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

# მე თუნღა არ ვთქვა, მთავი გეგმვიან, რას მანუხებს და რაის მალაღებს

„ზოგჯერ ისე ახლოს ვგრძნობ ჩემს მოთხრობებს, მეშინია, მართლა არ გაცოცხლდნენ... მგონია რომ გულამაყარის ხეობა დიდი წიგნია. მთები ყდებდა აქვს ამ წიგნს და შიგნით უამრავი მოთხრობა წერია...  
...ყდიდან ყდამდე ამოვა და ჩავა მზე, ამოვა და ჩავა. დადიან, დაალა-ჯუნებენ მოთხრობები შიგნით...  
ხომ გითხარი. აი, ახლა, მივალ და გადავშლი. მოისმინე რა წერია...“  
ასე იწყება **ბოლნისის რაიონის მშენებელი პატარა მოთხრობა „ჩემი წიგნი“**



ლოს და თავის თვალთ ნახოს, როგორ ცოცხლდებიან მოთხრობები. არ გვერათ?! ადით **გულამაყარის ხეობაში** და ნახეთ: აგერ ხეწი. იქით ფლო-პიანთ ვანუა (გრუზული). აი, ჩვენს წინ კოტორანთ ქალმა გამოიარა ფენდარეზს არავა...  
გოდერძი ჩოხელის გულამაყარი კი დღეს უფრო გულსაკლავად გამოიყურება ვიდრე მაშინ, როცა იქ მისმა ტკბილ-მწარე ბავშვობამ გაიარა.

ძნელი სანახავია სოფელი **ჩოხი** — **გოდერძის ნასკოლარი** (ძალიან ცუდად ხვდება ყურს „ნასკოლარი“), ჩამონგრეული, ჩამოფარებული, კაცისა და პირუტყვისაგან შებილწული... არცთუ დიდი ხნის წინათ აკაკიმ, ილიას ტყვია რომ ვესროლოთ, მოგვადანა, რისი ღირსებაც ვართ. (ამას საქართველოს მთავრობის, განათლებისა და მეცნიერების, კულტურის სამინისტროს და, განსაკუთრებით, მცხეთა მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის და დუშეთის გამგეობის, სხვათა შორის, საქართველოს პარლამენტის წევრის, **ნუგზარ წიკლაურის** გასაგონადაც ვამბობ). მე აღარ გავიმეორებ, უბრალოდ ვიტყვი! რაც გვითხრა, ალაღად ვიმსახურებთ! ღვთის ანაბარა მიტოვებული ეს მიწები საბოლოოდ იმ რამდენიმე კაცის მხრებითაა ღვთისთვის, ვისაც მშობლიური კუთხე არ ეთმობა, თორემ აქაურობა დიდი ხნის წინათ დაცლებოდა.

თურმე, ნუ იტყვი და, სახელმწიფოს მწირი ბიუჯეტის გამო, არ შეძლება მთის დანარჩენი (სხვაგან — ფშავეში, ხევსურეთში, მთიულეთში, ხევში უარესი ვითარებაა, ამის თაობაზე ვწერდით ჩვენი ჟურნალის წინანომრებში)...  
დანამდვილებით შემოდია გითხრათ: ერთი შადრევანისა და რომელიღაც მივიწყებული პოპ-ვარსკვლავის ჩამოსაყვანად გაღებული ხარჯით (პინორარი, სცენის, ბუტაფორიების, ფეიერვერის მოწყობა) გულამაყარი გამოცოცხლდებოდა, აქაურებს ცხოვრება გაუუმჯობესებდა, მაგრამ...

**გულამაყარის ხეობაში 22 სოფელია, — 307 კომლით.** ამათგან რამდენიმე სეზონურია. ზაფხულში ადიან

— საძოვრებზე პირუტყვი აპყავთ და კარტოფილს თესვენ.  
რამდენიმე წლის წინ გულამაყარის ხეობას ძლიერი წყალდიდობა დაატყდა თავს, გზები დაინგრა და ჩაიკეტა. მაშინ რომ არავისთვის ჯებირები გაეკეთებინათ, გულამაყარი ასე არ დაცლებოდაო, მეუბნება გულამაყარის თემის რწმუნებული **ნელი ბექური** და მისხნის:

— აქ სოფლებია, რომ გავივლით, დაინახავთ, იქ თუ ჯებირი არ გაკეთდა, 10-15 სანტიმეტრით რომ აიწიოს არავა, სახლში შეუვარდებით წყალი.

ახლა ცოტა იმედი გაუჩნდა ხალხს, არაბები თუ სპარსელები რომ შემოვიდნენ და გაიყვანეს ცხვარი, ხალხმა ცოტა გაიხალისა, ცხვრის მოძრავლება დაიწყო, იმიტომ რომ კარგ ფასს უხდია.

— **პირობები რომ იყოს, ძველებურად მოაშენებს ხალხი ცხვარს?**  
— მოაშენებს, როგორ არ მოაშენებს. დღეს ხბო 100 ლარი ღირს, ხოლო ბატკანი 120-130 ლარი.

— **აქ საქონლის მოსაშენებლადც ხომ კარგი პირობებია?**  
— პირობები კია, მაგრამ ზამთარში საქონლის შენახვაც ძალიან ძნელია. 30-50 ძროხისთვის საკვების დამზადება... სათიბები კი არის, მაგრამ მოთიბვა და ჩამოტანა რთული.

მთაში ცხოვრება რთულია. 8 თვე ზამთარია. გზა არ არის. დენი კი გვაქვს, მაგრამ ელექტროგაყვანილობა ძველია. ბოძები თავისით იქცევა. ძირი გამოძალია აქვს. ვიდრე არ მოტყდება, შეკეთებას არავინ ფიქრობს.

— **ზამთარში რით თბობთ?**  
— შეშით, მაგრამ აგერ ხომ ხედავთ ტყეში ვცხოვრობთ და იმის უფლებას არ გვაძლევენ ხეს ტოტი შევაჭრათ. უსაბუთოდ ფიჩხი ვერ

— **ჩვეყითხე ქალბატონ ნელის.**  
— უმთავრესად გზას, 90-იან წლებში დაიწყეს გზის გაკეთება, მოსწორება და მოხრეშვა, თითქოს ასფალტიც უნდა დაეკოთ, მაგრამ სად წავიდა ის ფული, არავინ იცის, ახლა რა გზაც არის, კი ხედავთ.

გოდერძი ჩოხელის მშობლიური სოფელში ვართ. გოდერძის სახლი ცოტა მაღლაა. მეზობლებს მის განხილვაზე შუბლი ეხსნებათ. გოდერძი დიდი კაციაო.  
ჩვენს წინ ნახევრად დანგრეული ორსართულიანი შენობაა (ნასკოლარი). აქ გოდერძი სწავლობდაო, მაჩვენებენ.

არ ეკადრება გოდერძი ჩოხელს მისი სკოლა ამ მდგომარეობაში იყოს მეთქი, ვუთხარი. მხრები აიჩიქეს, ჩვენ რა შეგვიძლიაო. არც თემს აქვს რაიმე შემოსავალი, რომ შენობა შეაკეთოს. აქ სკოლა დიდი ხანია დაიხურა.

ამ სურათმა ცუდ გუნებაზე დამაყენა.

გულამაყარის ხეობის მცხოვრებთა საარსებო წყარო მესაქონლეობაა. კოლექტივის პერიოდში აქ ძალიან ბევრი ცხვარი ჰყავდათ, მაგრამ დღეს მისგან თითქმის აღარაფერია შემორჩენილი. როგორც აქაურები მიაბობენ, მეცხვარეობის განვითარებას შექმნილი პირობები ხელს არ უწყობს.

— **შარშან ჩვენმა მოსახლეობამ ბლომად ცხვარი გაყიდა. არ ვიცი, არაბები იყვნენ თუ ირანელები — მეუბნება რეზო ჩოხელი** — ერთიანად წაიყვანეს. ხალხს იმედი ჩაესახა. ცხვრის გამრავლება დაიწყო, მაგრამ პირობები და ხელშეწყობა არ არის, ცხვარს ზამთრის საძოვარი უნდა. თუ ეს საკითხი მოგვარდება ქვეყანაც იხიერებს და ხალხიც. ეს

კუთხეც შეივსება და ძველებურად ახმაურდება.

— აი, ამ მიუბეს ხომ ხედავთ — ალპური საძოვრებისკენ მაჩვენებებს ბატონი რეზო — სულ სავესე იყო ზაფხულობით ცხვრით.

— **მაინც რამდენი ცხვარი ეყოლებოდათ მაშინ გულამაყარში — ვკითხვები.**

— უჰ! 40 ათასზე მეტი მარტო კოლმეურნეობაში ჰყავდათ, იმაზე მეტი კიდევ მოსახლეობაში იყო. იმდენი ცხვარი იყო, ამ მიუბეს აღარ ეტოლდა. ხალხსაც არ უჭირდა, შემდეგულად ცხოვრობდა. იმ დროს ერთი კილოგრამი მატყლი 12 მანეთი ღირდა.

ახლა ცოტა იმედი გაუჩნდა ხალხს, არაბები თუ სპარსელები რომ შემოვიდნენ და გაიყვანეს ცხვარი, ხალხმა ცოტა გაიხალისა, ცხვრის მოძრავლება დაიწყო, იმიტომ რომ კარგ ფასს უხდია.

— **პირობები რომ იყოს, ძველებურად მოაშენებს ხალხი ცხვარს?**  
— მოაშენებს, როგორ არ მოაშენებს. დღეს ხბო 100 ლარი ღირს, ხოლო ბატკანი 120-130 ლარი.

— **აქ საქონლის მოსაშენებლადც ხომ კარგი პირობებია?**  
— პირობები კია, მაგრამ ზამთარში საქონლის შენახვაც ძალიან ძნელია. 30-50 ძროხისთვის საკვების დამზადება... სათიბები კი არის, მაგრამ მოთიბვა და ჩამოტანა რთული.

მთაში ცხოვრება რთულია. 8 თვე ზამთარია. გზა არ არის. დენი კი გვაქვს, მაგრამ ელექტროგაყვანილობა ძველია. ბოძები თავისით იქცევა. ძირი გამოძალია აქვს. ვიდრე არ მოტყდება, შეკეთებას არავინ ფიქრობს.

— **ზამთარში რით თბობთ?**  
— შეშით, მაგრამ აგერ ხომ ხედავთ ტყეში ვცხოვრობთ და იმის უფლებას არ გვაძლევენ ხეს ტოტი შევაჭრათ. უსაბუთოდ ფიჩხი ვერ



გამოვიტანია ტყიდან. ჩამოწერილი ხეები ხევებში და მთებში უნდა ეძიო, მანქანა იქ ვერ მიდის და ტრაქტორი, ხართი უნდა ათრიო.

წვალეობა ჩვენი ცხოვრება და მეტი არაფერი — საუბარში ერთვება არჩიდ წიკლაური. — მე ფასანაურში ვცხოვრობ, 10 ძროხაზე მეტს ვერ ვინახავ. არის ოჯახები, ვისაც 40-50 სული ჰყავს. ისინი ამთაბარებენ საქონელს. თბილისის შემოგარენში — მუხიანისა და თემქის ზემოთ ზღვის შემოგარენში სულ ჩვენ ხალხს აქვს ალბულები მიწები და იქ აზამთრებენ, ზოგს კახეთში გადაჰყავს საქონელი და ასე წვალობენ.

საზაფხულოდ მეც აქ, **ბურსაკორში** ამომავს საქონელი,

— **შორს არის ჩოხიდან ბურსაკორი?**  
— რვა კილომეტრი იქნება, მე იქაური ვარ. აბა იქ არის იალალები თუ არის.

— **რამდენი ოჯახი ცხოვრობს**

**სოფელში ამჟამად?**

— ახლა, ზაფხულში 30 კომლი იქნება. ოქტომბრის დასაწყისიდან ნოემბრის ბოლომდე იქაურობა მთლიანად დაცლებია, კაცის ჰაჭანებას ვეღარ ნახავთ. იქ რომ ელექტროენერგია და გზა იყოს, ფეხს არ მოვიცვლიდი იქიდან, ისე ამოიხრა **არჩიდ წიკლაურმა** კინაღამ გული ამოაყოლა.

— ეს ერთადერთი სოფელია გულამაყარში, სადაც ელექტროენერგია არ არის. გზაც გაუვალა, — მისხნის ქალბატონი ნელი ბექური. მართალს ამბობს, გზა და ელექტროენერგია, რომ იყოს, ბევრი ოჯახი დარჩებოდა.

ექიმი გვეკრძება, რომ მუდმივად იყოს აქ.

იქვე, პანტის ჩრდილში ახალგაზრდა კაცი დგას, ცხენი აღვირით უჭირავს, იდაყვით უნაგირს დაყრდნობილი გვისმენს...

— **რა გვქვიათ, რა გვარის კაცი ხართ, მეოქი, ვკითხვები.**

— ბურჯი აფციური — მასსუხობს დინჯად.

— **ბურჯი, რით ცხოვრობ, რას საქმიანობ?**

— აბა რითა ძმაო, არც რით. აი, საქონელი, ცხვარი... ცოტაოდენი რომ იყოს, მიგხედავდით, მოუვლიდით.

სტიმული ნამდვილად სჭირდება აქაურებს. უნდა დანახონ, რომ მათ შრომას ფასი აქვს. **ესენი ხომ სამსი არაგველის ყარისა არიან. იციან სამშობლოს ფადრი.**

ჩოხელებს ვემშვიდობებით. არაგველ საცალფეხო ხილით გადადივართ. ხიდი ჰქვია, თორემ ორი ხის ძელია გადაებული მდინარეზე, ზედ ბრტყელი რიფის ქვებია დალაგებული. ასეთი საცალფეხო ხიდები ძალიან პოპულარულია გულამაყარში. ალბათ იმიტომაც, რომ, თუ ადიდებული არაგვი წაიღებს, იოლად

სულ ახლო წარსულში ეს მხარეც სავესე იყო ცხვრით.

სოფლებსაც მეტი ყურადღება ექცეოდა.

ბატონი ბიძურა ფიცხელაური ძველ დროს იხსენებს. 85 წელს გადაცილებული კაცია, არც ეტყობა წლოვანება.

— **ადრე ქერსა და ჭიოკას ვთესავდით და მოსავლიც მოგვდიოდა, მაგრამ მიატოვა ხალხმა ქერის თესვა. პური ბარიდან ამოგვაქვს და აღარ იწვალებენ თავს. კარტოფილი კი მოგვყავს. ერთი ტომრიდან, 6-7 ტომარასაც კი ვიღებთ თუ ამინდებმა მოუხსრო. სხვა აქ არაფერია. სოფელში ვაშლი და შავი მოცხარაც დავინახე. დიდი წვალებით გავახერხეთ, ჩრდილოკავკასიიდან გადმოვიტანეთ ნერგები, მეუბნება ბატონი ბიძურა და ვაშლსა და მოცხარს მთავაზობს, გასინჯე, ნახე როგორი გემო აქვსო.**

აქაურ ხილს მართლაც სხვანაირი გემო აქვს, თითქოს მჟავუც არის და არც არის მჟავუ.

— **ადრე ამ დროს კაცს სახლში რა გააჩენებდა, სად ჰქონდა დასვენების დრო. — იმდენი ცხვარი გვყავდა, ამ ადგილებში ძლივს ეტოლდა.**

სადაც ცხვარია, იქ სიკეთე და ბარაქაა.

როგორმე ცხვარსაც მოვამრავლებთ, დოვლათსაც შევქმნი... იქნებ, ამ ქვეყანასაც ეშველოს რამე! კარგი კი იქნება და...

ახლა ელექტროსადგურის ნარჩენებიც აღარ არსებობს, მხოლოდ შენობა და სათავო ნაგებობაა შემორჩენილი. აქ, ალბათ, უკეთესი ელექტროსადგურის გამართვა შეიძლება, რომელიც მთელ ზემო ზონას უზრუნველყოფს ელექტროენერგიით. საერთოდ კი, გულამაყარში იმდენი და ისეთი ხარისხიანი წყლის რესურსია, რომელიც მარტო ელექტროენერგიით კი არ უზრუნველყოფს ამ მხარეს, სხვა ბევრ სიკეთესაც მოუტანს. მარტო ის რად ღირს, რომ თუ სწორად გათვლის კაცი, აქ ძალიან დიდი რაოდენობის ეკოლოგიურად სუფთა საქსპორტო მდინარის კალმანის წარმოება შეიძლება.

ჩვენს შესახებდრად ეზოდან ახალგაზრდა კაცი გამოდის.

იავო ვარო აფციური, გვეცნობა.

— ეს რა ყოფაა. ჩამოთოვს — გზა არ არის. წყალი ადიდდება — გზა არ არის.

— **რამდენი შვილი გყავს? — ვკითხვები.**

— ორი.

— **სკოლა არის სოფელში?**

— არა, ქვემოთაა, კიტონში. აქედან ოთხი კოლომეტრია.

— **ზამთარში როგორ დადიან ბავშვები ამ გზაზე?**

— როცა გზა ჩაიკეტება, შინ დარჩებიან, სხვა რა გზაა.

— **რამდენი კაცი ცხოვრობს ღუმაცხობში?**

— ზაფხულში — 6-7, მუდმივად — 2-3.

— **მიწა ბევრი გაქვს?**

— მიწის მეტი რა არის, — იცინის იავო. — აი, ეს მთები მამაპაპისაგან გვაქვს დანაწილებული...

სოფელი საკერპე ბაკურხევის მხარეს ბოლო სოფელია. აქედან ხევსურეთში — ბარისხოში გადადის საცალფეხო ბილიკები.

სოფელში 7-8 კომლი ცხოვრობს, ზამთარში კი სამი ოჯახი რჩება. აქედან ხელისგულივით მოსჩანს მთელი ხეობა.

სულ ახლო წარსულში ეს მხარეც სავესე იყო ცხვრით.

სოფლებსაც მეტი ყურადღება ექცეოდა.

ბატონი ბიძურა ფიცხელაური ძველ დროს იხსენებს. 85 წელს გადაცილებული კაცია, არც ეტყობა წლოვანება.

— **ადრე ქერსა და ჭიოკას ვთესავდით და მოსავლიც მოგვდიოდა, მაგრამ მიატოვა ხალხმა ქერის თესვა. პური ბარიდან ამოგვაქვს და აღარ იწვალებენ თავს. კარტოფილი კი მოგვყავს. ერთი ტომრიდან, 6-7 ტომარასაც კი ვიღებთ თუ ამინდებმა მოუხსრო. სხვა აქ არაფერია. სოფელში ვაშლი და შავი მოცხარაც დავინახე. დიდი წვალებით გავახერხეთ, ჩრდილოკავკასიიდან გადმოვიტანეთ ნერგები, მეუბნება ბატონი ბიძურა და ვაშლსა და მოცხარს მთავაზობს, გასინჯე, ნახე როგორი გემო აქვსო.**

აქაურ ხილს მართლაც სხვანაირი გემო აქვს, თითქოს მჟავუც არის და არც არის მჟავუ.


— **ადრე ამ დროს კაცს სახლში რა გააჩენებდა, სად ჰქონდა დასვენების დრო. — იმდენი ცხვარი გვყავდა, ამ ადგილებში ძლივს ეტოლდა.**

სადაც ცხვარია, იქ სიკეთე და ბარაქაა.

როგორმე ცხვარსაც მოვამრავლებთ, დოვლათსაც შევქმნი... იქნებ, ამ ქვეყანასაც ეშველოს რამე! კარგი კი იქნება და...

# ქოსარ დუდაევი: — ვალდებულნი ვართ,

**ჯაბრაილ ხანგომიძე** ახმეტის რაიონის სოფელ ღუისში დაიბადა. აქვე დაამთავრა ქართული საშუალო სკოლა. შემდეგ ჩვენთვის გადვიდა, სადაც შესანიშნავად დაეუფლა რუსულ ენას. სწავლობდა მუსიკალურ ტექნიკუმში ვოკალური ხელოვნების განხრით. ლენინგრადში გაიმართა საკავშირო კონკურსი. ჩვენთვის ორი ადგილი გამოეყო, რომელშიც მონაწილეობდა 300 მუსიკოსი. მათგან კონსერვატორიის რექტორის, პროფესორ პაველ სერბრედაკოვის შერჩევით ორიდან ერთი ჯაბრაილ ხანგომიძე ჩარიცხდა, მეორე კი მომდერალი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი მოუსარ მინჩაევი იყო. სასწავლებელში ჩარიცხვისთანავე ბატონი ჯაბრაილი თბილისის კონსერვატორიაში გადმოვიდა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. ისევე დაბრუნდა ჩვენთვის და ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა მსოფლიოში ცნობილ საუკეთესო მოცეკვავე მანბუდ ესამბეევთან. 1991 წელს იგი ისევ დაბრუნდა ჩვენთვის სახელმწიფო ფილარმონიაში. სწორედ ამ დროს ჩვენთვის მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომლის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ ჯაბრაილ ხანგომიძე.



## ჯაბრაილ ხანგომიძის როლი რუსეთ-ჩეჩნეთის ომში

ჩეჩნეთის პრეზიდენტის ჯ.წ.არ დუდაევის თხოვნით ჯაბრაილ ხანგომიძე მთავრობის ხალხთა ურთიერთობების სამმართველოს უფროსად დაინიშნა. ამ პერიოდში ჯაბრაილმა **ლიტვაში, ყაზახეთში, თათრეთში, მოსკოვსა და ლენინგრადში ჩეჩნეთის წარმომადგენლობა ჩამოაყალიბა.** ჩეჩნეთის პირველი ომის დაწყებამდე ცხრა თვით ადრე შეიქმნა **ნავთობის კომპანია** (ინგლისის ცნობილი **ნავთობკომპანია „ვიტოლმის“** სახელით). აღნიშნული კომპანია ბატონმა ჯაბრაილმა საქართველოს რკინიგზაზეც გადმორთო. მთლიანი რკინიგზის შემოსავლების 50-60 პროცენტი საქართველოში ამ ფონდიდან შემოდიოდა.

ასეთია მისი ცხოვრების დასაწყისის მოკლე ინფორმაცია...  
— როგორ მოხდით, ბატონო ჯაბრაილ, ულიანოვკაში რუსეთ-ჩეჩნეთის ომის ცნობილი მოვლენების დროს?

ბატონი ჯაბრაილი პუბლიცისტური სიზუსტით მოგვითხრობს მეტად მნიშვნელოვან საინტერესო მოვლენებს ომის შესახებ.

რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის დროს ოჯახით, მეუღლესთან და ხუთ შვილთან ერთად ვცხოვრობდი თურქეთის დედაქალაქ ანკარაში. მოსკოვში ერთ-ერთ საქმეზე გავემგზავრე. იქ ყოფნის მეორე დღეს მოხდა **შამილ ბასაევის ცნობილი ტერაქტი ბუდიონოვკაში.** ამის გამო მოსკოვში დაიწყო ჩეჩნების მასობრივი დაპატიმრებები. ამ დროს ვსტუმრობდი ერთ-ერთ ჩეჩენს **ხუმიდ პასკუშევს.** იგი რუსეთის ყოფილ ვიცეპრეზიდენტს — სოსკავეცის სიძესთან ბანკში მუშაობდა და სამსახურიდან ტელეფონით დაუკავშირდა სასკავეცს. მათ მთხვევს რომ საკუთარი მანქანით გამამგზავრებდნენ რუსეთის მთავრობაში მოსალაპარაკებლად.

ვიცე-პრეზიდენტმა სოსკავეცმა მკითხა, თუ რამდენად ვიცნობდი **შამილ ბასაევის** მეც გულწრფელად აუხსენი ჩვენი ურთიერთობა. შემომთავაზეს, რომ დაუყოვნებლივ გადავფრენილიყავი ბუდიონოვკაში ბასაევიან მოსალაპარაკებლად. დავეთანხმე მათ, მაგრამ ამ მოვლენასთან დაკავშირებით



გარანტია ვერ მივეცი საქმის მოსაგვარებლად, რადგანაც არ ვიყავი საქმის კურსში არ ვიცოდი, რა იყო მიზეზი, რუსეთში

ამხელა ჯარით რატომ შემოვიდა შამილი. ვითხოვე ჩეჩნეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავჯდომარესთან **იხვან გერის-ანოვთან** ერთად გავრკვეულიყავი საქმის ვითარებაში და მართლაც, ჩვენი შეხვედრა შედგა. ჩკალოვის აეროპორტიდან იმავე საღამოს გადავფრინდით ბუდიონოვკაში მე, ჟირინოვსკი, იხვან გერისანოვი და რუსეთის, დუმის 4 დეპუტატი, აქვე დაგვხვდნენ რუსეთის უშიშროების მინისტრი სერგეი სტეპაშინი, შინაგან საქმეთა მინისტრი ივანოვი, რუსეთის პრეზიდენტის - ელცინის აპარატის უფროსი ეგოროვი, კარაბინიკოვი და სხვები.

## გენერალი ერმილოვი: — ჩეჩენი ერი არ ექვემდებარება აღზრდას, ამიტომ ის უნდა განადგურდეს...

ვიღრე სხლომა დაიწყებოდა, ერთ-ერთ გენერალს მივმართე და გავეცანი. ვუთხარ, რომ გადავწყვიტე შეხვედროდი ბასაევის. გენერალმა მიპასუხა: რომ მას დაურეკა **პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირინმა,** მაგრამ უძღოდა, შეხვედრა ვერ შედგებოდა თქვენსა და ბასაევის შორისო. რადგანაც გუშინ საკუთარი მძაც კი არ მიუღია. ამის შემდეგ მოითათბირეს და ჟირინოვსკის მხრიდან მოხდა შეთავაზება: მიხვლებთან ერთად

## გია ყარყარაშვილი და ჯაბრაილ ხანგომიძე თბილისის ომში

საქართველოს პირველი სამოქალაქო ომის დროს, როცა ჩვენი ქვეყანა ორად გაიყო და **საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება** შეიარაღებულმა კიტოვანის და სიგუასანიძის ვაიპოლიტიკოსებმა და სხვა ჯურის ქუჩის შეიარაღებულმა ბანდებმა დაამხეს, **საქართველოს მოყვარე და ჩეჩნეთის უმამაცესმა პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა** ჩვენი თანამემამულე, პანკისის მკვიდრი **ქისტეი ჯაბრაილ ხანგომიძე** იხმო და სთხოვა საქართველოში გამგზავრებულიყო და ჩაეყვანა დელეგაცია პრეზიდენტისა და ოპოზიციის შესარჩევლად. ბატონი ჯაბრაილმა ასეთი სიტყვებით გამოუშვა: ჩვენი ძმები, როცა ერთმანეთს ეომებიან, ჩვენ თუ ქართველების მეგობრები და ძმები ვართ, არ გვაქვს უფლება, არ მივეზმართო ჩვენი დაუძინებელი მტერი რუსეთი როცა ტაშს უკრავს ამ მოვლენას, მტრების ჯინაზე და კავკასიელების ერთიანობისათვის ვალდებულნი ვართ შევარიგოთ ორად გაყოფილი ქართველი ერი, კიდევ უფრო გაგვამღიროთ და დაგვახლოვოთ ქართველები და ვინახები.

მეთაურობით არის მოსული შეიარაღებული ფორმირება თქვენს დასახოცადო.

ვიღაცამ, ვისაც ხელს აძლევდა ჩვენს მიწაწყალზე არეულ-დარეულობა, ცრუ ინფორმაცია მიაწოდა ამბოხებულებს, ვითომდა საქართველოს დასამხობად იყვნენ ჩამოსულნი ჩეჩენი მეომრებიო. აეროპორტის დაცვას, სროლის დროს შეეწირა 5 ქართველი მამულიშვილი. (მაშინ ნამდვილად გავრცელდა ასეთი ინფორმაცია: ღუდაევმა საქართველოს დასაბოძებლად

და სურდათ შეხვედრა როგორც პრეზიდენტთან, ასევე ოპოზიციასთან.

გენერალმა გია ყარყარაშვილმა სტუმრები მიაცილა, სადაც **თენგიზ კიტოვანი** და **თენგიზ სიგუა** იმყოფებოდნენ. მათ შორის შედგა საუბარი, რომლის დროსაც თანხმობა განაცხადეს. ბუნკერში შეხვედრისას კი პრეზიდენტმა სასტიკი უარი განაცხადა მოლაპარაკებაზე: მაგ ბანდიტებთან არ მინდა არც შეხვედრა, არც საუბარი.

მეორე დღესვე შეხვდნენ



გამოგზავნა თვითმფრინავით.) პრეზიდენტთან შესახვედრად ჩამოსული სტუმრები რომ მიხვდნენ სიტუაცია იმაგზავრეო, ჩეჩნეთის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა **შამილ ბენომ** საქალაქიდან ამოიღო ჯოხარ ღუდაევის მიერ გამოგზავნილი წერილი, ააფრიალეს ეს ფურცელი და ასე გავიდნენ მომხდურებთან შესახვედრად. გია ყარყარაშვილმა შეიარაღებულ დაჯგუფებას შეაჩერებინა სროლა და შეხვდა ჩეჩენიდან ჩამოსულებს. სტუმრებმა აუხსენეს, რომ ისინი მშვიდობიანი და კეთილი მისიით იყვნენ მოსულნი საქართველოში

საგარეო საქმეთა მინისტრს. მას უნდოდა სხვადასხვანაირი გზებით ჩეჩნებისთვის გზის არევა. ამ დროს აეროპორტი-შივე დატოვებული ჩეჩნების დაცვამ ტელევიზიით მოიხსენია რუსეთის მიერ თუ ჩვენი შინაური მტრებისგან გავრცელებული დეზინფორმაცია, თითქოსდა ქართველმა მეომრებმა დახოცეს ღუდაევის მიერ კეთილი მისიით გამოგზავნილი სტუმრები და მათი დაცვის წარმომადგენლები. ამის გამო კიდევ დაიძაბა ჩეჩნეთში სიტუაცია, თითქოს აღშფოთებული ღუდაევი თხუთმეტ წუთში უკვე აპირებდა თბილისის დაბოძებას...

**დავით ზეიკიძე** ჯაბრაილ ხანგომიძე იყო დააკავშირა საქართველოს უშიშროების მინისტრს, რომელმაც უკვე დუდაევთან დააკავშირა ჯაბრაილ ხანგომიძე და მისცა სწორი ინფორმაცია, რომ რუსეთის მიერ ვერაგულად გავრცელებული ტყუილი იყო. ეს ყალბი ინფორმაცია კი, რა თქმა უნდა, საქართველოს და ჩეჩნეთის დასაპირისპირებლად იყო გამიზნული.

**აქაც დიდი სიმამაცე და წინდახედულება გამოჩნდა ჯაბრაილ ხანგომიძის მოქმედებაში.**

ასე გადარჩა თბილისი კიდევ ერთ ტრაგედიას...

საქართველოს ასეთი მძიმე და საგალალო მდგომარეობა, შინაურისა თუ გარეშე მტრის მიერ მოწყობილი ზაფანგი, არაერთხელ არ გუხნეს ჩვენმა ვაიპატრიოტებმა, მოშურნეებმა, საქართველოს სამოქალაქო ომის პერიოდშიც და რუსეთ-საქართველოს ომების დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე და შიდა ქართლის, ანუ ცხინვალის რეგიონშიც.

მადლიერია ჯაბრაილ ხანგომიძე, ახლაც დიდ მადლობას გამოხატავს ვაჟკაცური მამულიშვილური საქმისათვის სამშობლოს სიყვარულისა და თავდადებისათვის, **დავით ზეიკიძისა და გია ყარყარაშვილის** მიმართ.

აი, ასეთი კუკუა-გონებით საგსუა სიმამაცით გამორჩეული ჯაბრაილ ხანგომიძე, რომელიც ღირსია ეროვნული გმირის სახელი მიენიჭოს, რადგან მან უდიდესი როლი შეასრულა საქართველოსა და ჩეჩნეთის ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**იზა ჯაჭვამი.**

# შეპირბოთი ტრადიციული გაყვანილობა



**ადამიანების ზოცვა-ფლეთაო და მიუთითა: სასწრაფოდ დააკავშირეთ ჯაბრაილ ხანგოშვილი შამილ ბასაევთან.**

ამ საუბრის შემდეგ ამავე მინისტრმა სხვა მინისტრებსაც გააცნო მათი საუბარი და მთხოვა საავადმყოფოს ტელეფონით დაეკავშირებოდა შამილ ბასაევს.

შე და შამილმა ტელეფონით ვისაუბრეთ და ვუთხარი: თუ არ შედეგა ჩვენი პირისპირ საუბარი, გაგრძელებოდა დაბომბვა და მთლიანად ამოწყვეტოდა.

უნდა ამოწყვეთოთ შამილ ბასაევი თავის მეორეთან ერთად. **კარაბენიკოვმა ასე უბასუხა: ვლადიმერ ვოლოფოვიჩი, ასეთ გადაწყვეტილებას თუ მიიღებდით, იქ რომ თქვენი ცოლ-შვილი ყოფილიყო?** მან დაუფიქრა და ბანზე აუგლო კითხვა: შენ განერდი, ჩვენ ვართ სახელმწიფო მმართველები და დამატა: **შემთხვევით კი არ უთქვამს გენერალ ერმოლოვს, რომელიც მთლიანად კავკასიის დასაყრბად იყო შემოსული, ჩვენნი ერთი არ ექვემდებარება აღზრდას, ეს ერთი უნდა განადგურდეს.**

იქვე გადაწყვიტეს, ორი ვერტმფრენით ორივე მხრიდან დაეპოშათ საავადმყოფო. ოცი წუთის პაუზის შემდეგ, თუ ბოევიკები იარაღს არ დაყრიდნენ, მათი ბოლომდე უნდა ჩახეცოთ ისინი და მიველა აყვანილობის.

ამის შემდეგ უბრძოლველად დეპუტატებთან ერთად შევიდა ქალაქის ცენტრის ერთ-ერთ დაბაზში ღამის გასათევად.

გათენებული არ იყო, როცა მოგვემა ვერტმფრენის და დაბომბვის ხმები. სახურავზე ასულედი ვუყურებდით, როგორ იბომბებოდა ქალაქის ბოლოში მდებარე საავადმყოფოს შენობა. აქვე გავიცანი რუსეთის პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის თავჯდომარე **სერგეი კოვალოვი.**

შემდეგ ჩვენ გადავდით ადგილობრივი მთავრობის სახლში, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო მთლიანი საავადმყოფოს შენობაში ჩვენნი მემორებისა და იქაური მოსახლეობის მიქვლების ბედი.

## ვიქტორ ჩერნომირდინი – რაინდული სულის პოლიტიკოსი

თათბირის დაწყების პერიოდში ტელეფონით დაუკავშირდი პრემიერ-მინისტრ **ჩერნომირდინს.** რომ გაიგო მე ვურეკავდი ბუდიონოვიდან, გაოცებულმა მკითხა: რა ხდება მან, ვის ბომბავენ? მე ვუთხარი რომ არ მომცეს შამილ ბასაევთან დალაპარაკების უფლება და მათვე გადაწყვიტეს გაანადგურონ შენობაში მყოფები. მკითხა აგრეთვე, თუ ვისთან ერთად ვიმყოფებოდი. ყველა მათგანი დაუესახლე და აგრეთვე მთხოვა რომელიმე მინისტრი დალაპარაკებოდა. ჩემს სახლოვეს მდგარ შინაგან საქმეთა მინისტრს მივაწოდე ყურმილი. მათი საუბარი გარკვევით მესმოდა.

**ჩერნომირდინმა ყვირილით მიმართა: ვისთან შეთანხმებით დაიწყეთ უდანაშაულო**



## შამილ ბასაევი: – ერთიანი ძალებით შევიდოდით კრემლში და გავანადგურებდით არსებულ ხელისუფლებას...

შეხვედრისას, ამ მოვლენასთან დაკავშირებით, შამილმა დაწვრილებით ამხსნა მიზეზი, რომლის შინაარსი ასეთია:

ჩვენითიდან რუსეთში, ბუდიონოვკამდე ჩვენ მოვიდოდით როგორც რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარი. ტრასაზე, რომელიც დაახლოებით სამასი კილომეტრ მანძილს მოიცავს, ბუდიონოვკამდე მოვალწიეთ სხვადასხვანაირი ხერხებით, მისი ტრასის, მთავარ პოსტზე შეგვაჩერეს და გვკითხეს, ვინ ვიყავით. მე აუხსენი რომ ვიყავით რუსეთის სამხედრო ძალები, რომლებიც ჩვენთვის ომში ემონაწილებდით.

ჩვენი ვინაობის დასაზუსტებლად „გაის“ პატრულმა შემომთავაზა, ჯარისკაცებთან ერთად წავყოლოდი ქალაქის პოლიციის განყოფილებაში. ჩემი არმია იძულებული გახდა ჩემთან ერთად გაჰყოლოდა პატრულს. ჩვენი აზრით, ტრასაზე წინააღმდეგობის გაწევას არანაირი აზრი არ ჰქონდა, რადგანაც გველოდა ავიაციით დაბომბვა. და ასეთი ხერხი მოვიფიქრეთ: პოლიციის შენობაში მისვლისთანავე, რომელიც მდებარეობდა ქალაქის ცენტრში, პირველ რიგში, მიმყოლი პოლიციელები დავხოცეთ. შენობაში შევევრდით და ყველანი ამოვხოცეთ. საერთო ჯამში, **მსხვერპლი 120 კაცამდე იყო. თუმცა, რუსეთის მაშინდელი პრესა იტყობინებოდა, რომ დახოცილი იყო 65 კაცი, რომელიც იმ დროს მსოფლიოში ტერაქტის ყველაზე დიდი მსხვერპლი იყო.** იქვე მოვიფიქრე, რომ ქალაქკარეთ მდებარე დიდ საავადმყოფოში მოვთავსებულიყავით, რადგანაც თავდასაცავად ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა. ამის შემდეგ, შეძლებისდაგვარად, ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იძულებით მოვავროვეთ და ამ საავადმყოფოში გადავიყვანეთ.

ისევე დაუბრუნდეთ შეხვედრის მომენტს...

**შამილ ბასაევი:** საერთოდ, ვითარებისათვის ჩვენი მსე-

ლელია დაგვემილი მქონდა შემდეგნაირად: გაის პატრულს ხელი რომ არ შეეშალა და არ შეეჭვებინეთ, დარჩენილი 20 კილომეტრი სიგრძის გზა რომ გავგვეგრძელებინა, სადაც გველოდნენ იქ მცხოვრები მოკავშირე ჩვენები და რუსებიც, მათ ჩვენთვის გამზადებული



ჰქონდათ სამოქალაქო ფორმები გადმოსაცემი პასპორტებით, კამაზის მარკის მანქანები უკვე დატვირთული ჰქონდათ ყველანაირი იარაღით, ზემოდან დაწვრილი სხვადასხვა სახეობის პროდუქტებითა და ხილით. იქიდან კი **გვემა ასეთი იყო: უნდა ჩავსულიყავით მოსკოვში,** იქაც გველოდნენ ჩვენი თანამზრახველები და ერთიანი ძალებით შევიდოდით კრემლში და გავანადგურებდით არსებულ ხელისუფლებას...

– **ისევე გადავდით ბირთვად თემაზე, – ამბობს ბატონი ჯაბრაილი, სადაც შამილ ბასაევმა მთხოვა, ამეხსნა ჩერნომირდინისთვის, რომ შეეჩერებინათ ჩვენთვის მიმდინარე ომი. გამოყვანათ რუსეთის ჯარი და გადაყვანათ ბაქოს ტრასაზე. ამის შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ამ შეთავაზებული საკითხის შესრულების შემდეგ ბასაევი გაათავისუფლებდა ყველა მიქვალს და სისხლის ბოლო წვეთებამდე იბრძოლებდა რუსეთის წინააღმდეგ ჩვენთვის თავისუფლების მოსაპოვებლად.**

ჩვენი საუბრის შემდეგ, უკან რომ ვბრუნდებოდი, შამილმა შემაჩერა, თავის მოადგილეს – **ასლანბეგს** უთხრა: წადი, ის დარჩენილი ფეხმძიმე 22 ქალბატონი წამოიყვანე და თან გაიყოლეო, რათა რუსები მიხვდნენ, რომ მე სერიოზულად მაქვს გადაწყვეტილი მათთან მოლაპარაკებაო. ფეხმძიმე ქალები რომ წამოვიყვანე, ისინი მხრებზე ჩამოვიდებოდა ჩემთან ერთად მოუყვებოდნენ გზას. ეს მომენტი იმდროინდელ რუს უურნალისტებს ფირზე აღუბეჭდავთ, მოუთავსებთათ სხვადასხვა გაზეთებში, ხოლო შემდეგომ რუსმა, ლენინგრადელმა უურნალისტმა **ბუნინმა** ეს ფოტო მოათავსა საკუთარ წიგნში: „**შვიდი დღე ბუდიონოვკაში**“.

... მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ტელეფონით დაუკავშირდი ვიქტორ ჩერნომირდინს და აუხსენი შამილ ბასაევთან შეხვედრის შედეგი. **საბასუხოდ მან მადლობა გადაამხნა და მითხრა: ყველაფერს გავაკეთებ, გააჩერებ ომს, გამოიყვანე ჯარი. მიველების განთავისუფლების შემდეგ არავითარი ომი არ არის საჭირო, გაძლევთ კარიდოს და შეგიძლიათ დაბრუნდეთ ჩვენთვის. გამცილებლებს კი ვთავაზობ ჩვენს დეპუტატებს რომ ისინი გაგვეყენენ, რომ იყოს დაზღვეულნი ჩვენი მხრიდან თავდასხმისგან.**

ამის შემდეგ პრემიერ-მინისტრს ვუთხარი, რომ დაგებრუნდებოდი საავადმყოფოში და თუ თანახმა იქნებოდა ტელეფონით დაუკავშირებდი შამილ ბასაევთან, რაზედაც დამთანხმდა. მართლაც სასწრაფოდ დაგებრუნდი შამილთან და ჩემი წინასწარ შედეგინილი ტექსტით მათ შორის შედეგა საუბარი. ამ მომენტსაც შევსწრო იგივე რუსი უურნალისტი და ფოტოაპარატი დააფიქსირა. ესეც შესულა მისსავე წიგნში: „**შვიდი დღე ბუდიონოვკაში**“.

შამილ ბასაევის გასაცლილებლად შევიყვანე **სერგეი კოვალოვი, რუსეთის სამი დეპუტატი, უურნალისტების ხუთი ჯგუფი** (სამი რუსეთის, ორი უცხოეთის) შამილ ბასაევის ორი მეომარი გარეთ გამოვიყვანე, შამილ ბასაევისა და მეომრების გასაცლილებლად ორი „იკა-

როსი“ გამოიყო. აუცილებლობად ჩავთვალეთ შეგვემოწმებინა „იკაროსები“ და ერთი მაცივარი, რომელშიც იყო მოთავსებული 14 ჩენნი მეომარი. საუბედუროდ ორი მეომარი რაღაც დავალების შესასრულებლად პირველ დღესვე ბუდიონოვკაში რომ შევიდნენ, ქალაქშივე

ასცდნენ შამილის მეომრებს და შამილთან დასაბრუნებლად რომ მოემართებოდნენ, ბუდიონოვკაზე გარშემორტყმულმა „**ალფას**“ **მიომრებმა** როცა შენიშნეს ესენი, ალფაში მოაქციეს და უნდოდით ცოცხლად აყვანა. ისინი კი გვერდიგვერდ დადგნენ, ხელეწმბარით თავები აიფეთქეს და ცოცხლები მტერს არ ჩაბარდნენ, თუმცა მათი გვამები უკვალოდ გააქრეს.

ამ მოვლენის შემდეგ დამთავრდა რუსეთ-ჩერნეთის ომი. ვიქტორ ჩერნომირდინმა დაპირება პატიონსად შეასრულა, ნეტავ ასეთი რაინდული სულის ადამიანები ბევრი ჰყავდეს ჩრდილოელ დიდმპყრობელ მეზობელს – რუსეთის მთავრობას...




აი, ასეთია მონათხრობი პანკისელი ქისტის, სამაგალითო და ბრწყინვალე ადამიანის, დიდებული პოლიტიკური მოღვაწის, ჩერნეთისა და საქართველოს თავდადებული ვაჟკაცის, უმაჰცესი მამულიშვილის **ჯაბრაილ ხანგოშვილისა**, მისი ცხოვრება-მოღვაწის ერთ-ერთი ეპიზოდი.

მიუხედავად იმისა, რომ მისი სიცოცხლე ბევრჯე ეკიდა, უყოყმანოდ, დიდი რისკითა და სიმამაცით შეძლო ამ ურთულესი საქმის მოგვარება.

დღეისათვის, უახლოეს დროში, ბატონი ჯაბრაილი ბათუმის ევრო მოედანზე ხსნის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროს, რომლის მშენებლობაშიც მონაწილეობს მსოფლიოში გამოჩენილი ერთ-ერთი იტალიური კომპანია. მშენებლობაში ჩართულნი არიან ჩვენი თანამემამულეებიც. **სასტუმროს ეწოდება „პრეზიდენტი“.**

იზა ჯაჭვამი 5

# ჰაი, ჰაი, რომ უკვე ვცვლით ხევისურეთს ბარის „სამოთხეა“



პირაქეთა ხევისურეთის ულამაზეს სოფელ როშკაში მივებუხარებით. ოხერხევის ხიდი გადავიარეთ და მგზავრიც გამოჩნდა. როშკელმა შოთა წიკლაურმა თავისი „უაზი“ დაამუხრუჭა, ოღონდ უკან დასწია და დაელოდა.

ახლა მგზავრს ვაკვირდები, ნაცნობი სერ-ფერი (ხევს. იერი) აქვს ვისხენებ, ვინ არის.

ჰო, მომაგონდა – რუსო ხახიაურია ხახაბოდან. ხელმეორედ ვესალმები და ამბავ-მშვიდობას ვეკითხები.

– ბარიდან მოვიდვარო, – გვეუბნება რუსო და ნაღვლიან-ნამძინარევი თვალებით გვიყურებს.

ოცი წლის წინ ვიყავი ხახაბოში. ამ არწივის ბუდესავით კლდეზე მიშენებულ სოფელში მაშინ ოთხი მძაცხოვრობდა. სამი ბარის სოფლებში გადასახლებულა, რუსოდა დარჩენილა მარტო. ისიც გადასახლებას აპირებს, სახლიც შეუკვლევია და კიდევ ერთი სოფელი დაიცლება, კიდევ ერთ სოფელს დაერქმევა ნასოფლარი. ჩახოლდება, ჩაინგრევა მათი სახლიც და ჭინჭარი და შალაფა გადაუვლის ეზოს. ცუდ ხასიათზე ვდგები.

## გზა სიცოცხლეა

რუსო როშკის ხიდიდან ჩამოვსვით, დავეშვიდობეთ და სოფლისაკენ მიმავალ სერპანტინებს აუყუევით. ქვალორდზე, ზრამებზე და ჩამონარეცხ ქვიშაზე ძლივს მილოდავს ჩვენი „უაზი“.

– შენი სოფლის გზაზე სიარული რომ შეგეჯავრდება, როგორიაო, – მეუბნება შოთა და მართლაც: „გზას ვამბობთ, თორემ რა გზაა“ ხელმარჯვენე, არაგვკალმა სოფელი ღული გამოჩნდა. თივათა სიმცირე შევნიშნე და შოთას ვეკითხები, – რა ხდება, ღულელები აღარ სთიბავენ-მეთქი?

– ალბათ ეგენიც ბარში აპირებენ გამოზამთრებასო, – მკასუსობს შოთა და ილუშება.

გავივაკეთ, მანქანას აღარ უჭირს, ჩვენც ამოვისუნთქეთ ისევ აღმართი, დაზიანებული, უმოქმედო ეკლესია და სოფელშიც შევდივართ. მანქანას

ზედ სახლის წინ აჩერებს. ჩამოვდივართ. შოთას ღია-ყმაწვილები გვეგებებიან, თავშეკავებით, დინჯად.


## აბუდელაური

მცირე შესვენების მერე აბუდელაურის ტბებისაკენ გავუტიეთ. დაუჩინებამდე (ხევს. დაღამებამდე) 14 კილომეტრი გვაქვს გასავლელი – შვიდი იქით და შვიდი აქეთობას. არადა, უკვე საღამოს 4 საათია.

ტბებისაკენ მიმავალი ბილიკი გათელილია – აქ წელს ბევრმა მნახველმა იარა. ტბათა სიღრმეზე და ჭიუხის ერთი ხელის გავწვინაზე მიახლოება უამრავს იზიდავს.


მთამსვლელები ვაუა-ფშაველასა და აღმაშენებლის მწვერვალებზე აღიან. ზოგიც სინდაურაის-მალაღს უსინჯავს „ბრჭყალებს“. ტბათა ღრმულს მივადექით და ერთი იმედგაცრუებაც აქ დავგვისვდა – სანახევროდ დამშრალი ტბები უდიდამო შთაბეჭდილებას ტოვებენ. აღარც ის განუმეორებელი სილურჯე თუ სილილისფრე შერჩენიათ – ზაფხულის დროინდელი გვალვა ყველაფერს თავის მსახვრალ ხელს ამჩნევს.

უკან ვეშვებით, ბინდი ნაბადწამოსხმული ქურდით ეპარება გარემოს. გაღმა სოფლის ნახირი ეშვება თავქვე. მწვემსისა და ძაღლების ნაწყვეტ-ნაწყვეტი აჩქამდობა ერთვის როშკის წყლის ღულუნს.



## რა გვემართება, ხალხნო?!

თინა არაბული შოთას მეუღლეა. საუკეთესო მქსოველი და მქარგველი, პოეზიის მცოდნე და დამფასებელი, ახალგაზრდა, მაგრამ ძველხევისური ქალის ბადალი, 4 შვილის დედა. კეცეულებსა (ხევს. ხაჭაპური) და თბილ ღიმილს გვახვედრებს თინა და სუფრასთან გვეპატიჟება. ათას რამეზე ვსაუბრობთ, მათ შორის ერის გამრავლებაზეც. – მარტო როშკას 6 უცოლო ვაჟკაციაო, – სინანულით ამბობს შოთა. რა არის, რა გვემართება, ხალხნო? „წუნიანობაში“ დავგვრია ხელი თუ სიხარბემა და „კარგი ცხოვრების“ ტებნამ? აგერ, თინას 3 გოგო ჰყავდა და სანამ ვაჟი არ შეეძინათ, არ „გაჩერდა“, ბარისახოდან როშკაშიც გამოთხოვდა, საქონსაც (ხევს. საქონელი) ყოლიობს და სათიბ-საკრეფსაც მიჰყვება, არც სადმე გაქცევას აპირებს სხვასავით. 6 ვაჟკაცი კი 6 ოჯახი თავის დედაწულაიანად ერთი დიდი სოფელია ხევისურეთში



„სამოთხეზე“. აგურ-აგურ, ქვა-ქვა, ყორე-ყორე ვაცლით და ვასუსტებით მის ლიბო-სადირკველს, ვაპარტახებით და გავრბივართ, საით?

## გამოსავლის ტებნაში

საფიხვნოები ნაკლებად არის ხევისურეთის სოფლებში. ახლა აქაც ბირეები შემოვიდა „მოღაში“. რაოდენ უარყოფითი დატვირთვაც

ნახალის მთაზე რომ დაიდგას ერთი სატელეფონო ანძა, მთელ პირაქეთა ხევისურეთს დაფარავსო, – ამბობენ რომეონები და იმ დროს ნატრობენ, როცა სოფელში „რაცია“ მუშაობდა.

ჩემი მხრივ დავამატებდი ერთს, აბუდელაურის ტბებისაკენ მიმავალ გზაზე დიდი ვაკობებია. მახლობლად ტურბაზის ან ბანაკის მოსაწყობად უკეთეს ადგილს ვერ ინატრებს კაცი. ოღონდ ისე, რომ სოფლის საძოვარი არ შეიზღუდოს, თუმცა აქაც მისასვლელი გზის გაყვანა გახდება საჭირო.



## არ გაცეკლი ხალხსა კლდეებსა?

ამ გენიალური ლექსის ავტორს, რაფელ ერისთავს კითხვის ნიშანი არ დაუსვამს. მე ვსვამ კითხვის ნიშანსაც და კითხვასაც. როშკაში, ამ ერთ-ერთ უკაცრიელ სოფელში, ზამთრობით 2-3 კომლიდა რჩება, დანარჩენებმა მომთაბარეობა დაიწყეს. რატომ? ამ მომთაბარეთაგან ზეად და ზეგ ზოგიერთს მოსწიწდება ამხელა მანძილზე ადი-ჩადი და საშუადაოდ იქ, ბარში დარჩება. რატომ? სისხლის ფასად და კბილებითა და კაწრით რომ ვიცავდით ჩვენს წინაპართა მამულ-წყალსა და მიცვალებულთა საფლავ-სამარეს, ახლა ვის ანაბარად ვავდებთ ყოველივე ამას? ნუთუ ისე გავვიცივდა გულები და დავგვიძღვრდა მარჯვენა, რომ ზამთრის დიდთოვლობამ გვაჯობა? ჩვენდა სავალალოდ, ჰაი, ჰაი, რომ, უკვე ვცვლით ხევისურეთს ბარის

უნდა ჰქონდეს ამ სიტყვას, იქ ბევრ ჭკვიანურსაც მოისმენს კაცი. როშკის ახალგაზრდებთან: ბადა, თორელ და სუმბატა წიკლაურებთან 2-საათიანი მასლაათის შემდეგ მათი მოთხოვნები ამგვარად ჩამოყალიბდა:


არსებული გზის მოვლა-შენახვა. მართალია, ეს გზა თავის დროზე ხარვეზებით გაკეთდა, მაგრამ ამას ახლა აღარაფერი ეშველება. ახლა მთავარია ამ გზის მოსავლელი ფინანსები გამოინახოს. ეს პრობლემა კი მხოლოდ მაშინ გადაიჭრება, თუკი არხოტის გზის მშენებლობა დაიწყება; მუდმივი დენი, მუდმივი, მობილური კავშირი. გაღმა,

## ზოლოთქმა

უკან მობრუნებულთ, შატლისაკენ მიმავალი „ჯიბების ქარავანი“ გვხვდება. მანქანებში მღვდელსაც მოკვარით თვალი. არდოტში ეკლესიის ადგილი უნდა აკურთხონო, გვითხრეს ბარისახოში და სულს მოფიქრნა. აი, რა გადარჩენს ჩვენს ერსა და მამულს ურწმუნოთა მოძალებსიგან.

მისილ შინჭარაული ხევისურეთი, როშკა-ბარისახო.





**ჯანჯი ფსოველი**

**მზის აპოლოგია**

საქართველოს მზე სხვანაირია:  
ისეთია,  
დახატვითაც რომ ვერ დახატავ:  
უსათუოდ  
რომელიღაც ფერი დაგაკლდება!  
სიტყვაშიც ვერ დაამწყვდევ,  
რადგან მისი ღვთაებრივი გამოსედეგა  
სიტყვებს ნაცრად გადააქცევს!..  
მოუხელთებელია,

თვალგაუსწორებელია...  
ცვალებადია პოეტის გულივით...

**წარწერები**

პოეტი, როგორც მარადიული ბოგანო...  
ვისაც ისტორიის სისხლის წვიმამ  
სიტყვები დაუსველა...  
ვისაც ისტორიის ნაცეცხლურში  
დარჩენილმა ნაღვერდლებმა  
დაუთუთქა ფენისგულები...  
ვინც წაიკითხა უნილაფი სტრიქონები  
კაცის გულის შუალამეში...  
ვინც ამოიცნო ღმერთის დარდი  
კაცის კვნესაში...  
ის ეხლა უკვე შინ დაბრუნდა:  
თავის წუხილს დახწერებია  
და კითხულობს  
კაცის გულის ლურსმულ წარწერებს,  
ანბანს,  
ციურის ცრემლით დაწერილს...

**ნატყვიარები**

ქალაქის ხეებს შეუხორცდა ნატყვიარები,  
ქალაქის კედლებს შეუხორცდა ნატყვიარები...  
ოღონდ გულებს ისევ აჩნია  
ჭრილობები სისხლდამდინარი...  
ზოგი ვინ და ზოგი ვინ არი:  
ყველას აჩნია ჭრილობები სისხლდამდინარი...  
აჰა, ეს სიტყვაც, თითქოს ბუდიდან  
გადმოვარდნილილი ჩიტის ბარტყია...  
ზოგი ვინ და ზოგი ვინ არი:  
ყველას აჩნია ჭრილობები სისხლდამდინარი...  
ლექსა წერ, მაგრამ ლექსაც ატყვია  
ძველი ჭრილობა სისხლდამდინარი...  
არ უხორცდება ჭრილობები  
გულებს და სიტყვებს,  
ლექსს ჭრილობები არ უხორცდება!..

**ხმალო, არ დაიშანგო**

მომძლავრებულა დუშმანი:  
ყველყელაობს და შმაგობს.  
მაცილის ენის მონაწურს  
წინ დაგიღვრიან ჟარგონს!  
დიდგორის ომში ნაცვეთო,  
ხმალო, არ დაიშანგო!

**როსტომ გაჩოგვილი**

\*\*\*

საით წავიდა, არაგვო,  
აქ რო მგზავრ ჩამაიარა?  
ის ჩემი ნანდაურია,  
გზააბნეული კი არა.  
ჩემი მზეა და მთვარეა,  
ჩემი ლხენა და იარა,  
ცას მოწყვეტილი ნამია,  
კლდეზე მოსული იადა.  
მამულის გულის კვნესაა,  
არ გვესმის ადამიანთა...  
გამწარდა წუთისოფელი,  
მზეს მოსვლა დააგვიანდა,  
გაგვიფერმკრთალდა ზესკნელი,  
ნათელი გაგვიწყვიადდა.

**ეშმაკთბორა**

ცას მიბჯენილა ფხაწალი,  
ეშმაკის ფერცხლის ფერი.  
ჩამოტყაული მხარ-მკლაფი,  
ძგლები ხანჯლისებრ მჭრელი.  
დაბლა პირლია უფსკრული,  
სიცარიელის ქვევრი.  
ჩუქურთმამჭრელი ჩანჩქერი,  
თეთრი შხეფების მფრქვევი.  
კლდის თავზე შავი ღრუბელი,  
როგორც მძინარე დევი...  
სდგას ეშმაკთბორა, ბეჭებით  
თავის სიტურფის მცველი.



**ხოშარაული**

ფშავით ხეგსურეთს მოსული,  
სისხლს გაგვირდე ძმისასა,  
ხოშარის მიმტოვებელი,  
ბილიკს გამოვყევ მთისასა.  
მიმიღეთ ხეგსურთ შვილებო,  
ჯავრს არ შაგაჭმევთ მტრისასა.  
ბახტრიონ ციხეს დავლაშქრავ,  
სისხლს დავლევ დუშმანისასა...  
იტყვიან გამარჯვებასა  
ხოშარაულის ხმლისასა.

\*\*\*

არაგვზე შამამაღამდა,  
გუწიე მისაქციელსა.  
ცას ვარსკვლავს შამახვეოდენ,  
როგორც ფუტკარი იელსა.

წყალი ვითხოვე, ვიფიქრე:  
ვინ დამარწყულებს მთიელსა?!  
ვაჟი გადმოდგა მგლისფერი,  
უყურეთ მის საქციელსა!  
ჯამი მამყუდა, მასმია  
ვაზის მზისსიგა ნაჟური,  
წელს ერტყა სამღარიანი,  
შაგხალი მამა-პაპური...  
სათშაოს გადმაუნედე,  
ცაში არწივი ყიოდა.  
ვინა თქვა, ქართველი კაცი,  
ხმლის სიმოკლესა ჩიოდა?  
გორდა შფოთავდა ქარქაშში,  
ალბათ მტრის ხორცი შიოდა.  
მთის წვერზე იჯდა ეშმაკი,  
გულის წამლებად წიოდა.  
ზეცას გაეხსნა საკინძე,  
ნათელი ჩამოსდიოდა.


\*\*\*

ახუნის მთაა, თუ დოწია,  
ღვთიური დანათის შუქი.  
საორბე უკანტბას მიჰკვრია,  
დაჭრილი, დაღლილი შუბლით.  
საცხვარის ღელეში ქარი ქრის აშარი,  
ღრუბლები უვლიან დავლურს.  
ქორაფის ფოთლები  
ჰაერში მიჰქრიან,  
მისდევენ ნისლიან წარსულს.

\*\*\*

ნისლები შემთხვევია  
ფშავის არაგვის ჭალასა,  
ერთმანეთს ეხუტებიან,  
შლიან სიტურფის კარავსა.

მართალი ვიბნი აჭარელ ხევისბერზე



როგორც ერთი ადამიანი არ ჰგავს მეორეს, არც ოდესმე ჰგავდა და არც მომავალში დაემსგავსება, ასეა საუკუნეების საქმეც. მეოცე საუკუნე, როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საუკუნეა.

გამორჩეულია ძალიან ბევრი რამით, მაგრამ უწინარესად, თავისი ადამიანებით და იმ ცხოვრებით, რომელსაც თავიანთი საუკუნის ადამიანები ქმნიან.

ეს ადამიანებიც, ცხადია, განირჩევიან ერთმანეთისგან. ზოგი მართლ თავიანთ ჯამში ჩაიყურებინ, საზოგადოებისკენ თვალსაც არ აპარებენ, როგორც ჩუმად მოიხილეს წუთისოფელი, ასევე ჩუმად გაივიწყლებს თავიანთ წილ დროსა და ჩუმად გააბიჯებენ გაღმა სოფელში. ზოგჯერ რასაკვირველია, რჩეულნი, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ, ყოველთვის პირადულზე მაღლა დგანან და აჩქარებენ საზოგადოების წინსვლას.

სწორედ ასეთ გამორჩეულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ჭეშმარიტად ღირსეული მეოცე საუკუნელი ჰაიდარ აბაშიძე, მუსლიმანი ქართველი, რომელმაც მთელი თავისი მღელვარე ცხოვრება საქართველოს სულიერ გაერთიანებას შესწირა, რაც მთელი თუ არა, არაფრით ნაკლები არ არის ქვეყნის დაქუცმაცებული მიწა-წყლის ერთ მილიან, ეროვნული საზღვრების მქონე მიწა-წყლად გაერთიანებაზე. როგორც ერის სულიერი გაერთიანების, ისე ქვეყნის მიწა-წყლის ერთ მილიანად ქცევის

პროცესები, ჩანს, ჩვეულებრივი მოკვდავისთვის შეუძნეველია, მაგრამ ისეთი გულმზურვალე მამულიშვილისთვის, მიუხედავად რელიგიური მიკუთვნილობისა, როგორც ჰაიდარ აბაშიძე იყო, შეუძნეველი კი არა, მუდამ ცხოვრების მთავარი მიზანია, რაც სამაგალითო და მისაბადი ხდება სხვებისთვისაც და საბრძოლო ენერგიით აღავსებს ხალხს.

აი, ამ სამაგალითო და მისაბადი კაცის ჭეშმარიტად დიდ ცხოვრებას ეძღვნება ცნობილი ჟურნალისტის მარადი ანასაშვილის, ღმერთმანი, საოცარი სიყვარულით დაწერილი ეს წიგნი, რომლისთვისაც სათაურიც („აჭარის ხევისბერი“) შედგამოჭრილი მოუძებნია, ფრიად და ფრიად კეთილად გარჯილ ავტორს.

ვერ ვიტყვი, რომ ეს ამ სახის პირველი წიგნი იყოს ჩვენს სინამდვილეში, მაგრამ ერთ-ერთი გამორჩეულად პირველი მერცხალი რომ არის, უთუოდ ჭეშმარიტებაა. ჩემი ნათქვამის სიმართლეში ბევრით მეთხველი უმაღლესი მიხედვება. ამ წიგნით იქნებ სათავეც დაედოს ჩვენში ისეთ სერიას, ზოგიერთ ქვეყანაში „გამორჩეული ადამიანთა ცხოვრება“ რომ ჰქვია.

ქართული სიტყვის დიდ პაპას, სულხან-საბას თავის „სიტყვის კონა“-ში შეტანილი აქვს ერთი ძველი საზღვაო სიტყვა. დასვინარება, რომელსაც ასე განმარტავს: ესე არს ზღვათა მოსინჯვა, რათა ნავი არა შეახეთქონ მქენთა, გინა მდინარესა შინა ბადის დასაბევი არა იყოს.

ჰაიდარ აბაშიძე აჭარის ეს მართლაც დიდი



ხევისბერი სწორედაც თავისი თანადროული ცხოვრების დასვინარებით დაკავებულ კაცად წარმომიდგინა.

იგი, ნამდვილად დიდი ზღვისპირელი ქართველი იმასაც უთუოდ იმსახურებს, რომ ხევისბერობასთან ერთად ხმელეთით თუ ზღვით მომავლისკენ დაძრული საქართველოს ერთი ალალი დამსვინარებლის სახელიც ეწოდოს. რომელ დამსვინარებელთა წყალობით ბოლოს და ბოლოს შეძლებს ჩვენი აწეწილ-დაწეწილი და მრავალტანჯული ქვეყანა ყოველგვარ მტენთა გვერდის ავლით გონიერ სვლას.

ეს ყველაფერი კი მარადი ანასაშვილის ამ კარგმა წიგნმა მათქმევინა.

ბურაბ გომიასვილი.

„აქაიკი“



საქართველოში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარსა და ოცდამეორე დასაწყისში მოქმედ ნამდვილ მამულიშვილთა ღვაწლის შეფასებას, მთელი თაობისათვის კუთვნილი ადგილის განსაზღვრას და დამკვიდრებას.

კრებულში მრავლად არის მედიკო მეზ-ვრიშვილის პიროვნულ თვისებებზე მეტყველი ეპიზოდები, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სახელოვან მამულიშვილთა, მეგობრების, ნათესავების, რიგით მოქალაქეთა მადლობისა და მისალოც ბარათებში ასახული გულთბილი, თავანკარა მოგონებები, ამონარიდები ქართველ მწერალთა და პოეტთა ნაწარმოებებიდან დასტურად იმისა, თუ როგორ შეეძლო ელვაწა „უმართავ ფუნქციონერს“ დროის მარწმუნებისა და მკაცრი გამოწვევების პირობებში, ეროვნულ ფესვებსა და ტრადიციებზე დაყრდნობით, წარსულის პატივისცემით, აწმყოს რეალისტური შეფასებით და მომავლის სახელმწიფოებრივი გააზრების გზით ღრმა კვალი გაეგლო თავისი სამშობლოსა და ხალხის უკეთესი მერმისისაკენ.


სარედაქციო საბჭო მადლობას მოახსენებს ყველას, ვინც მხარი დაუჭირა წიგნის შექმნის იდეას და პირადი წვლილი შეიტანა მის გამოცემაში.

P.S. მკითხველი შეამჩნევს წიგნში შეტანილი მოგონებების სხვადასხვა ავტორთა მიერ ერთიდაიგივე ფაქტისა თუ მოვლენის რამდენჯერმე გამეორებას, რაც ამ ფაქტთა და მოვლენათა განსაკუთრებული მნიშვნელობით, მათი საყოველთაო აღიარებით და საერთო მოწონებით უნდა აიხსნას. ამიტომაც სარედაქციო საბჭომ ამ „გამეორებებს“ გვერდი ვერ აუარა. კრებულის შემდგენელი რედაქტორია ნელი გურგენიძე. ხოლო სარედაქციო საბჭო ნოდარ ჭითანავას, ოთარ ზუციშვილის, ლია ლომიძის და ნანა სოზაშვილის შემადგენლობით.

წიგნი ეძღვნება ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის – მედეა მეზ-ვრიშვილის ხსოვნას, რომლის სახელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში სიცოცხლეშივე აღიარებულ, გამორჩეულ ეროვნულ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი ლეგენდარულია. წიგნის შექმნის ინიციატორთა და შემოქმედთა ჯგუფი მიზნად ისახავდა წარმოეჩინა საბჭოთა სისტემაში დაბადებული, ორ ურთიერთსაპირისპირო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ წყობაში მოღვაწე, თავისი თაობის ღირსეულად წარმომდგენი მონუმენტური ფიგურა, რომლის როლისა და დამსახურების ობიექტურად განაალიზება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს

„რასა ვარ, ეგა ვარ...“

თქვენს წინაშეა წიგნი, ადრე გამოცემულ (ბოლოს – 1998 წელს) ჩემს რამდენიმე ჟურნალისტურ კრებულთან შედარებით, გაცილებით მორბილი და შინაარსითაც მრავალფეროვანია. გულდავულ შევარჩიე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ სხვადასხვა დროს დაბეჭდილი მასალები, რომლებიც, მგონი, დღესაც აქტუალური და ყავლგაუსვლელია. ესაა პორტრეტები ჩვენი სასიქადლო ადამიანებისა, ჩანახატი, დიალოგი, პოლემიკა, რეპორტაჟი, პუბლიცისტური წერილები „საზოგადო ჭირზე“, ესაა მოგონებები ჩემი განვლილი გზისა (უკვე მწოფობისთვის მიდგას და რა გასაკვირია)... ესაა, ზოგჯერ, ჟურნალისტიკის საზღვრებიდან მწერლურ გარემოში „შეჭრა“ – ლექსსა და პროზაში კალმის მოსინჯვა... ეს კრებული ჟურნალისტიკაში ჩემი 45-წლიანი მუშაობის შეჯამებასავით არის და, რა ვქნა, ვერ გავექციე ცდუნებას – ჩემ მიმართ თანამედროვეთა გულთბილი სტრიქონებიც შევიტანე შიგ. მერე ერთხელაც ჩავათვალიერე, გადავამოწმე, რაც მხის შუქზე, ანუ თქვენს სამსჯავროზე უნდა გამოეტანა... ნახეთ, წაიკითხეთ... მე, რაც შევძელი, ეგაა, რაცა ვარ, ეგა ვარ, ძვირფასო მკითხველო!



მოადგილის რუსუდან კერავლიშვილის ჩემს მიმართ გამოჩენილი გულისხმიერება და უანგარო ქველმოქმედება. დიდი მადლობა, ღმერთი გფარავდეთ, ქალბატონო რუსუდან!

ვილემ მარდალავიშვილი

მ ი ლ ზ ს შ ა დაბადების დღეს ვულოცავთ:

მედიცინის დოქტორს, პროფესორ მანუჩარ კობიაშვილს \* \* სტუფენწმინდის მუზეუმის დირექტორს – \* \* \* მზია ჩქარაშვილს \* \* \* ზაქარო ჯაჭვამის \* \* \*

ახალი ჟურნალი „კომპიუტერის ტექნოლოგიები“ სულ მალე მკითხველი პრესის გავრცელების ობიექტებში იხილავს ახალ ჟურნალს „კომპიუტერის ტექნოლოგიები“, რომელიც თავის ფურცლებზე შემოგვთავაზებს კომპიუტერის პროგრამების თვითმასწავლებლებს, ხოლო თანდართულ კომპაქტდისკებზე დეტალურად და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ვიდეოგაკვეთილებს. დისკი თან ერთვის ჟურნალის თითოეულ ნომერს. როგორც ყურნალის დამფუძნებლები: რედაქტორი - კობა ბედიძე და გამოცემელი გიორგი ლვინიაშვილი აღნიშნავენ, ჟურნალის მიზანია, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს ის კომპიუტერული პროგრამები, რომელთა ცოდნაც არათუ სასურველი, აუცილებელიც არის ნებისმიერი თანამედროვე ადამიანისთვის. ამჯერად, ჟურნალის პირველი ნომერში დაწვრილებით განიხილება ყველაზე მეტად გავრცელებული საოფისე პროგრამა „ვორდი“.

დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ივა ჯაჭვამი რედაქტორი ლაშა-გიორგი პრავეიშვილი რედაქტორის მოადგილე ლიანა გომიასვილი სარედაქციო საბჭომ: ივანე წიკლაური, კობა ბუჩუყური, რეზო კობიაშვილი, ლევან ცაულულაშვილი, გიორგი ინიანი, ნუგზარ ილიძე, მარინე თუქთუქიანიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლილა არჩვაშვილი, გულსო კობიაშვილი, ომარ მარუქაშვილი, გიორგი ხარანაული. ბაზითი არ ბაზოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად ამათხსნენ მასალას, მასალაში შეტანილი ფაქტების სისწორეში, ავტორთა მოსაზრებებში შესაძლოა არ ეთანხმებოდნენ რედაქციის კოორდინატორს. ბაზითიდან მასალის დაბეჭდვაზე რედაქციისათვის შემთავსებულად დაუზომაველია. მისამართი: კოსტავას ქ.№14 ტელ: 52-16-38 899-79-76-13 დაკავშირების კობა ბედიძის ფონის ცენტრში www.bedoidze.site.ge